

# სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ვ ა მ ჰ ვ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების  
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის  
უფროსი

შ. ჭეკუა ზურაბ ბუცხრივიძე

, „24“ ღ 6 2013 წელი

ეგზ. 2

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ  
დაფუძნებული ა(ა)იპ-ს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის

ანგარიში ა/25/ე/0

(01.01.2009-01.01.2013)

2013 წელი

## სარჩევი

აუდიტის მირითადი მიზანი .....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
აუდიტის დასკვნა .....	4
მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა.....	5
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	9
აღრიცხვა ანგარიშების ნაკლოვანებები:.....	9
არასრულყოფილად დასაბუთებული ხარჯები.....	15
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა .....	19
ა(ა)იპ-ები დაფუძნება და დაფინანსება .....	23
მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ-ების დაფუძნება, დაფინანსება, შესრულებული სამუშაოები და მათზე კონტროლი.....	23
ა(ა)იპ გაზეთი „ახალი ხარაგაული“-ს დაფუძნება და საქმიანობა.....	27
შპს „ ხარაგაული 2011“-ს დაფუძნება და საქმიანობა .....	28
კერძო აუდიტორული ფირმების მიერ ჩატარებული აუდიტი .....	29

## აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის მიზანია:

- ✓ დასკვნის გაცემა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანიბაზე

აუდიტის დასკვნაში აისახა:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა - საქმიანობის წარმართვა, რესურსების გამოყენება, ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების მოთხოვნათა დაცვა მოქმედი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- მართლზომიერი ხარჯვა - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიკურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა;

## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N1364 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების“ შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით

უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის  
მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას თუ რამდენად  
შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ  
კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. აუდიტი ჩატარებულია აუდიტის  
საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცული იქნა  
ყველა ის ეთიკური მოთხოვნები რასაც ითვალისწინებს საქართველოს  
კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული  
მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია  
აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე, მათ შორის აუდიტის ობიექტის  
განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა ნორმატიულ  
აქტებთან შეუსაბამობის რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია  
თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს,  
შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი აუდიტის ობიექტის საქმიანობის  
კანონშესაბამისობისა და მართლზომიერების უზრუნველყოფისათვის, რათა  
დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული  
პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის  
ეფექტიანობაზე.

ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები  
საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული დასკვნის გასაკეთებლად საჭირო  
საფუძვლების შესაქმნელად.

## აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი  
მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ხარაგაულის  
მუნიციპალიტეტის 2009-2012 წლების ანგარიშგებები ყველა არსებითი ასპექტის  
გათვალისწინებით მომზადებულია „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და  
ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს  
პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის

დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

### მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;
- გარე ვაჭრობის, გარე რეკლამებისა და ავტოპარკირების განსაზღვრა-რეგულირება;
- მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია; და სხვა.

მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და მიმდინარე ბიუჯეტის საშუალებით. მისი დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაცემული გამოთანაბრებითი ტრანსფერით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ფართობია 914 კვ.კმ. მოსახლეობის რიცხოვნობა 2012 წლის მონაცემებით შეადგენს 27,5 ათას კაცს. მუნიციპალიტეტი


შედგება 1 დაბისა და 78 სოფლისგან, რომლებიც გაერთიანებულია 20 ტერიტორიულ ერთეულში.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია და ფუნქციონირებს 14 ა(ა)იპ-ი, ერთი შპს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შემოსულობების ნაწილში 2009-2012 წლებში შეადგინა: 2009 წელს - 3 797.1 ათასი ლარი; 2010 წელს - 4 528.0 ათასი ლარი; 2011 წელს - 4 568.5 ათასი ლარი; 2012 წელს - 6 473.9 ათასი ლარი; აქედან შემოსავლები და არაფინანსური აქტივების კლება წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

დასახელება	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი
შემოსავლები	3790	4517.8	4538.2	6466.4
გადასახადები	239.8	483.1	257	121
გრანტები	3416.6	3809.7	3881.3	5933.5
სხვა შემოსავლები	133.6	225	399.9	411.9
არაფინანსური აქტივების კლება	7.1	10.2	30.3	7.5

მუნიციპალიტეტის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები, რაც მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 85-90%-ს შეადგენს. გამოყოფილი ტრანსფერებიდან გამოთანაბრებით ტრანსფერზე მოდის 55%; სპეციალურ ტრანსფერზე - 42% და მიზნობრივ ტრანსფერზე - 3%. 2009-2012 წლებში ტრანსფერები წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:





სპეციალური ტრანსფერის სახით მიღებულია შემდეგი თანხები: საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან - 380.0 ათასი ლარი; საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან - 31.4 ათასი ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 6761.5 ათასი ლარი. აღნიშნული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამებზე მიმართულია 2 101.2 ათასი ლარი, მგფ-ში მუნიციპალიტეტში განსახორციელებულია სხვადასხვა პროექტები.

გადასახდელების ნაწილში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ბიუჯეტმა 2009-2012 წლებში შეადგინა: 2009 წელს - 3 629,3 ათასი ლარი; 2010 წელს - 4 305,6 ათასი ლარი; 2011 წელს - 4 628,1 ათასი ლარი; 2012 წელს - 5 993,9 ათასი ლარი; რაც შეეხება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდას წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

დასახელება	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი
ხარჯები	2337.8	2852.7	3379.6	4506.9
შრომის ანაზღაურება	693.3	706.1	787.2	992.0
საქონელი და მომსახურება	871.1	1165.4	1072.1	1068.1
სუბსიდიები	612.3	699.2	1030.8	1164.1
გრანტები	0	0	130	610.0
სოც.უზრუნველყოფა	161.1	211.3	250.3	450.0
სხვა ხარჯები	0	70.7	109.2	221.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	1291.5	1452.9	1248.5	1911.2

ბიუჯეტების დანახარჯების დინამიკა ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 2009-2012 წლებში ასეთია:



ბიუჯეტის გადასახდელებში 20-23% უჭირავს ეკონომიკურ საქმინობას, რომელიც მოიცავს გზების სარეაბილიტაციო და სხვადასხვა სოფლის მხარდამჭერი პროგრამის სამუშოებს; საერთო დანიშნულების მომსახურება, რომელიც შედგება გამგეობისა და საკრებულოს ხარჯებისაგან, შეადგენს 23-30%-ს; სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები კი - 4-7%-ს.

## პირობითი მოსაზრების საფუძვლები

### აღრიცხვა-ანგარიშგების ნაკლოვანებები:

#### სკოლების რეკონსტრუქცია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებულ ორ სკოლას 2009 წელს გამგეობის მიერ ჩაუტარდა ძირითადი აქტივების რეკონსტრუქციის სამუშაოები, თანხით 195,9 ათასი ლარი. გაწეული ხარჯები არასწორადაა ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ ნაცვლად „სუბსიდიის“ მუხლში და სკოლების მიერ აქტივების რეკონსტრუქცია არ არის აღრიცხული.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობისგან 2009 წელს<sup>1</sup> საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის გამოეყო 195.9 ათასი ლარი, მათ შორის: სოფელ მარელისის საჯარო სკოლისთვის - 106.6 ათასი ლარი, სოფელ ხუნევის საჯარო სკოლისთვის - 89.3 ათასი ლარი. თანხები ფაქტობრივად მიღებული და ათვისებულია სრულად. აღნიშნული სკოლების რეაბილიტაციის ხარჯები დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული იყო „საგანმათლებლო ღონისძიებები“-დან „საქონელი და მომსახურების“ მუხლით. მიღებული თანხებით სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა განხორციელებული აქვს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, შესრულებული სამუშაოები მუნიციპალიტეტთან ერთად ჩაბარებული აქვს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლებლო რესურს ცენტრს.

აღნიშნული თანხა (195.9 ათასი ლარი) ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორადაა ასახული (მიკუთვნებული) „სუბსიდიის“ მუხლში იმის გამო, რომ სარემონტო სამუშაოების შესყიდვა მოხდა მუნიციპალიტეტის მიერ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“<sup>2</sup> მიხედვით, ის უნდა ასახულიყო მუხლში „არაფინანსური აქტივების ზრდა“. ძირითადი აქტივების განახლება, რეკონსტრუქცია ან გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სიმძლავრეს, ხარისხს ან ახანგრძლივებს არსებული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას, განიხილება როგორც ძირითადი აქტივების მიღება<sup>3</sup>. ამდენად, გამგეობას სკოლების რეკონსტრუქციის

<sup>1</sup> 8 მაისის განკარგულება N347

<sup>2</sup> დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანებით (მოქმედებდა 2010 წლის 6 სექტემბრამდე)

<sup>3</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 და 25-ე მუხლების მოთხოვნა

ხარჯები უნდა აეღო შემოსავალში და შემგომ გადაეცა სკოლებისთვის.

### მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები

2009-2010 წლებში მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები, რომლებიც მუნიციპალიტეტის მიერ არ არის აღრიცხული. ვერ იქნა წარმოდგენილი სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები, შედგენილი მუნიციპალური განვითარების ფონდის, სამუშაოების შემსრულებლისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მიერ. ამდენად, ვერ დგინდება პროექტის რეალური (საბოლოო) ღირებულება, ჩაიბარა თუ არა მუნიციპალიტეტმა აღნიშნული ქონება. კერძოდ:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის 2009 წლის 29 მაისს გაფორმდა საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება, დაბა ხარაგაულის სხვადასხვა ქუჩების ასფალტსაფარიანი გზის რეაბილიტაციის ქვეპროექტის განხორციელების შესახებ. ქვეპროექტის საბაზისო ღირებულება განისაზღვრა 1 592.4 ათასი ლარის ოდენობით, რომლის 85%-ს დააფინანსებდა ფონდი, ხოლო 15%-ს - მუნიციპალიტეტი. ქვეპროექტის განხორციელების საორიენტაციო პერიოდი განისაზღვრა 4 თვით. ამ პროექტების თანადაფინანსების მიზნით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან (პროექტის ღირებულების 15%-ის დაფინანსებისთვის)<sup>4</sup> გამოეყო 238.9 ათასი ლარი, რომელიც მიღებულია სრულად და გადარიცხულია დანიშნულებისამებრ.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის 2010 წლის 13 მაისს გაფორმდა საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფლების კიცხი-ვარძიის საავტომობილო გზის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის ქვეპროექტის განხორციელების შესახებ. ქვეპროექტის საბაზისო ღირებულება განისაზღვრა 1 745.1 ათასი ლარის ოდენობით, რომლის 85%-ს დააფინანსებდა ფონდი, ხოლო 15%-ს მუნიციპალიტეტი. ქვეპროექტის განხორციელების საორიენტაციო პერიოდი განისაზღვრა 4 თვით. ამ პროექტების თანადაფინანსების მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან (პროექტის ღირებულების 15%-ის დაფინანსებისათვის)<sup>5</sup> გამოეყო 261.8

<sup>4</sup> საქართველოს მთავრობის 2009 წლის 21 აგვისტოს N625 განკარგულება

<sup>5</sup> საქართველოს მთავრობის 2010 წლის N989 განკარგულება

45

ათასი ლარი, რომელიც მიღებულია სრულად და გადარიცხულია დანიშნულებისამებრ.

2009-2010 წლებში მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ საინვესტიციო დაფინანსების გზით მოხდენილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული გზების რეაბილიტაცია, სულ თანხით 3 337.5 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების 15%, თანხით 500.7 ათასი ლარი, გაწეულია მუნიციპალიტეტის მიერ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით და ფინანსურ ანგარიშებაში სწორადაა ასახული. მაგრამ, გამგეობის მიერ მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული გზების რებილიტაციაზე გაწეული 3 337.5 ათასი ლარის სამუშაოებით არ არის გაზრდილი ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულება<sup>6</sup>.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის 2009 წლის 15 აპრილს გაფორმდა საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება, დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემის რეკონსტრუქციის ქვეპროექტის განხორციელების შესახებ. ქვეპროექტის საბაზისო ღირებულება განისაზღვრა 803.5 ათასი ლარის ოდენობით, რომლის 85%-ს დაფინანსებდა ფონდი, ხოლო 15%-ს მუნიციპალიტეტი. ქვეპროექტის განხორციელების საორიენტაციო პერიოდი განისაზღვრა 6 თვით. ამ პროექტების თანადაფინანსების მიზნით (პროექტის ღირებულების 15%-ის დაფინანსებისათვის) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო 120.5 ათასი ლარი<sup>7</sup>, რომელიც მიღებულია სრულად და გადარიცხულია დანიშნულებისამებრ.

მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით<sup>8</sup>, მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია ქვეპროექტის ფარგლებში გამოყოფილი ობიექტის, წყალმომარაგების სისტემის ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობაზე. ხელშეკრულების<sup>9</sup> მიხედვით უნდა გაფორმებულიყო „მიღების აქტი“ ფონდს, მუნიციპალიტეტსა და შესაბამის კონტრაქტორს (სამუშაოს შემსრულებელს) შორის. მიღება-ჩაბარების აქტი ვერ იქნა წარმოდგენილი.

მუნიციპალიტეტის მიერ დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემის რეკონსტრუქციზე გაწეული 803,5 ათასი ლარის სამუშაოები შემოსავალში აღებული და შემდგომ მის მიერ დაფუძნებულ შპს „ხარაგაულ წყალზე“ გადაცემული არ არის<sup>10</sup>.

<sup>6</sup> ამდენად არ შესრულებულა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 25-ე მუხლის მოთხოვნა.

<sup>7</sup> საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 დეკემბრის N1008 განკარგულება

<sup>8</sup> მე-2 მუხლი, სადაც გაწერილია მუნიციპალიტეტის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა

<sup>9</sup> მე-4 პუნქტის

<sup>10</sup> შპს „ხარაგაულ წყალი“- დაფუძნებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2008 წელს. რომელიც 2009 წლის წოებერში შეუერთდა შპს „დასავლეთ წყალს“.

## საცხოვრებელი ბინების რეაბილიტაციისათვის და სოფლებში წყლის სიტემის რეაბილიტაციისათვის შეძენილი მასალების აღრიცხვა

2009-2011 წლებში საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციისათვის (რომელიც ძირითადად მოიცავდა სახლების გადახურვას) შეძენილია 198.8 ათასი ლარის გადასახური მასალა. მასალები ძირითადად დარიგებულია მუნიციპალიტეტში არსებულ ამხანაგობებზე (მუნიციპალიტეტში არსებობს ბინის 41 ამხანაგობა). გადაცემული მასალები ჩამოწერილია ხარჯებში. ამხანაგობების მიერ არ არის წარმოდგენილი მიღებული მასალების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

2009-2012 წლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის სისტემის რეაბილიტაციისათვის გახარჯულია 480.1 ათასი ლარი<sup>11</sup>. წყლის სიტემის რეაბილიტაციისათვის შეძენილია წყლის მიღები, წყლის ავზები და ავზების შესაკეთებელი სამშენებლო მასალები (ცემენტი, ხემასალა და სხვა). 2009-2011 წლებში შეძენილი მასალები გადაცემულია ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებზე და მთლიანი თანხით ჩამოწერილია ხარჯებში.

რწმუნებულების მიერ მიღებული მასალების ხარჯვის დოკუმენტაცია მასალების ჩამოწერას არ ახლავს. არც საფინანსო სამსახურის მიერ ხარჯებში ჩამოწერილი მასალები არ არის აღრიცხული ბალანსგარეშე საცნობარო ანგარიშზე და ამდენად, არ არის აღრიცხული თითოეული მატერიალური პასუხისმგებელი პირის მიხედვით მიღებული და ჩამოწერილი მატერიალური ფასეულობები.

საფინანსო სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნა რწმუნებულების მიერ მიღებული მასალების ხარჯვის დოკუმეტაციის ნაწილი. რამდენიმე ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ წარმოდგენილი იქნა მასალების ხარჯვის დოკუმენტები. ანალოგიური მდგომარეობაა სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიებისათვის (სოფლის წისქვილების რეაბილიტაციის, სასაფლაოებისა და ეკლესიების შემოღობვაზე, სარიტუალო სახლების მოწყობასა და აღჭურვასა და სხვა) შეძენილი მასალების ხარჯვაზე.

2010 წლის ბოლოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ შესწავლილია 2010 წელს სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გაწეული ხარჯები. მუნიციპალიტეტის 7 ტერიტორიულ ორგანოში დაფიქსირებული 11.6 ათასი ლარის ღირებულების გაუხარჯავი მასალების ნაშთი. იმის გამო, რომ არ ხდებოდა მასალების აღრიცხვა, ფაქტიურად არსებული მასალების ნაშთები არ შედარებულა ბუღალტრულ ნაშთებთან.

<sup>11</sup> 2009 წელს 121.9 ათასი ლარი, 2010 წელს 150.4 ათასი ლარი, 2011 წელს 147.9 ათასი ლარი, 2012 წელს 59.9 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ საცხოვრებელი სახლების, სოფლებში წყლის სისტემისა და წისქვილების რეაბილიტაციისათვის, სასაფლაოებისა და ეკლესიების შემოღობვისათვის, სარიტუალო სახლების მოწყობა-აღჭურვისა და სხვა ღონისძიებებისათვის შეძენილი მასალების ხარჯვის რეალობის დადგენის მიზნით საჭიროა: მოხდეს ყველა მატერიალურად პასუხისმგებელი (მასალების მიმღები) პირის განსაზღვრა; ამ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე მიღებული და ჩამოწერილი მასალების აღრიცხვა და ნაშთების გამოყვანა; ჩატარდეს მასალების ინვენტარიზაცია და დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

#### 2009-2012 წლებში მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია

2009-2012 წლებში მუნიციპალიტეტში არ მომხდარა გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაცია. კომისიის შექმნის მიუხედავად არ არის დადგენილი ფაქტიურად არსებული ფასეულობები, არ არის შედგენილი შედარების უწყისი და გამოყვანილი ინვენტარიზაციის შედეგები.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ 2009 წელს შეიქმნა კომისია<sup>12</sup>, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში არსებული, გამგეობის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის მიზნით. კომისიას დაევალა ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ფიზიკური მდგომარეობის შესწავლა, მათი ჩამოწერისათვის საჭირო დოკუმენტაციისა და ჩამოწერის აქტის შექმნა, ბალანსიდან ქონების ჩამოწერის შედეგად მიღებული ვარგისი ნაწილების შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მარაგების სახით ბალანსზე აყვანა. კომისიის დასკვნის წარდგენის ვადა განისაზღვრა 2009 წლის 20 დეკემბრამდე.

კომისიის აქტების საფუძველზე 2009 წლის დეკემბერში ჩამოწერილია გამგეობის ბალანსზე რიცხული 15.5 ათასი ლარის ღირებულების მარაგებში აღრიცხული მცირეფასიანი ინვენტარი. მცირეფასიანი ინვენტარი ერიცხებოდა ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებს. აქტები არასრულყოფილია, რადგან მასში მითითებულია, მხოლოდ რომელ ტერიტორიულ ორგანოზეა რიცხული, რა ღირებულების ფასეულობაა ჩამოწერილი (არ არის დაფიქსირებული კონკრეტულად რომელი ფასეულობაა არის ჩამოწერილი, ნაჩვენებია მხოლოდ თანხა). აქტს თან ახლავს ტორიტორიული ორგანოების მიერ გაცემული ცნობები მათზე რიცხული ჩამოსაწერი მცირეფასიანი ინვენტარის შესახებ.

<sup>12</sup> 29 ოქტომბრის N233 ბრძანება, აღნიშნულ ბრძანებაში გამგეობის 2009 წლის 2 დეკემბრის N272 ბრძანებით შეტანილია ცვლილება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2011 წელს შეიქმნა კომისია<sup>13</sup> გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის ჩასატარებლად. კომისიას ინვენტარიზაციის ჩატარებისა და შედეგების ჩაბარების ვადა მიეცა 2011 წლის 25 დეკემბრამდე.

კომისიის მიერ 2011წლის 25 დეკემბერს შედგენილია საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნა. დასკვნის მიხედვით, ინვენტარიზაცია ჩაუტარდა მთოლოდ მუნიციპალიტეტში შემავალ 20 ტერიტორიულ ერთეულში რიცხულ უძრავ და მოძრავ ქონებას.

დასკვნას თან ახლავს კომისიის წევრების მიერ ხელმოუწერელი დანართი, სადაც ჩაწერილია შემდეგი მონაცემები: ტერიტორიული ერთეულის დასახელება, ნივთის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი, საწყისი ღირებულება, ცვეთა, ნარჩენი ღირებულება. დასკვნის შენიშვნის გრაფაში ჩაწერილია შემდეგი შენიშვნები „გაყიდულია“, „არ არსებობს დაინგრა“, „დაიწვა“.

დანართიდან არ ჩანს ინვენტარიზაციით დადგენილი ფაქტიურად არსებული ფასეულობები. აღნიშნული დანართი ვერ ჩაითვლება ინვენტარიზაციის აქტად. გამგეობის ბუღალტერიის მიერ არ არის შედგენილი შედარების უწყისი და გამოყვანილი ინვენტარიზაციის შედეგები - სხვაობა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და ინვენტარიზაციით დადგენილ ფაქტიურ ნაშთებს შორის<sup>14</sup>.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ინვენტარიზაცია ჩატარებულად ვერ ჩაითვლება.

### „გაუთვალისწინებელი ხარჯები“

2009-2012 წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მიმწოდელების მიერ შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვებში ჩადებული იყო „გაუთვალისწინებელი ხარჯები“. შესრულებული სამუშაოს აქტში დაფიქსირებული არ არის ამ მუხლით გაწეული, ფაქტიურად შესრულებული სამუშაო, რის გამოც 14.9 ათასი ლარის გაწეული ხარჯის დადასტურება ვერ ხერხდება, მათ შორის: 2009 წელს 14 მომწოდებლის მიერ 5.9 ათასი ლარის, 2010 წელს 7 მომწოდებლის მიერ 2.7 ათასი ლარის, 2011 წელს 8 მომწოდებლის მიერ 2.5 ათასი ლარის, 2012 წელს 7 მომწოდებლის მიერ 3.8 ათასი ლარის.

<sup>13</sup> თავმჯდომარის 10 ნოემბრის N1-03/228 ბრძანება

<sup>14</sup> დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის” შე-8 და შე-14შებლების მოთხოვნები

## გრანტის აღრიცხვა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 30 სექტემბერს გამგეობის ხარჯებიდან 30.0 ათასი ლარი ჩაირიცხა ქ.ქუთაისის ბიუჯეტში. თანხა ჩაირიცხა „მიმდინარე დანიშნულების გრანტი“-ს სახით.

თანხის ჩარიცხვის საფუძველი გახდა თვითმმართველი ქ. ქუთაისის საკრებულოს თავჯდომარის ა.ხვადაგიანის ხარაგაულის საკრებულოზე მიმართვა<sup>15</sup>, რომლითაც ის ითხოვდა ქ. ქუთაისის ბიუჯეტისთვის გრანტის გამოყოფას, შსს-თვის სპეციალური ტექნიკის შესაძენად. მომართვის მიხედვით შეძენილი ტექნიკა მოემსახურებოდა მთელ იმერეთის რეგიონს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტი შეტანილია ცვლილება<sup>16</sup> და 30.0 ათასი ლარით გაზრდილია ხარაგაულის გამგეობის ხარჯები გრანტების მუხლით, კერძოდ, „გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს“. იმის გამო, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი არის ერთი დონის (ადგილობრივი თვითმმართველობა) სახელმწიფო ერთეული, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ ქ.ქუთაისის ბიუჯეტისთვის გრანტის გადაცემა (ჩარიცხვა), როგორც სხვა დონის სახელმწიფო ერთეულისთვის, არასწორია.

## არასრულყოფილად დასაბუთებული ხარჯები

### ავტომანქანის შეძენა და გაწეული კაპიტალური რემონტის ხარჯები

2012 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შესყიდვა გამოცხადდა 34.0 ათასი ლარის ღირებულების ავტომანქაზე მაშინ, როდესაც დამტკიცებული ბიუჯეტით მის შესაძენად გათვალისწინებული იყო 30.0 ათასი ლარი. აღნიშნულ ავტომანქანაზე იმავე წელს 18.6 ათასი ლარის კაპიტალური შეკეთების ხარჯია გაწეული.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტით, გამგეობის ხარჯებში განსაზღვრული იყო ავტომანქანის შეძება, სავარაუდო ღირებულებით 30.0 ათასი ლარი. შეაბამისად, აღნიშნული თანხაა ნაჩვენები მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილ სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში. 2012 წლის 31 იანვარს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული შესყიდვა „მრავიან სატრანსპორტო საშუალებაზე“ (ჯიპზე) თანხით 34.0 ათასი ლარი. ამდენად, შესყიდვა გამოცხადდა დამტკიცებული

<sup>15</sup> 2011 წლის 22 სექტემბრის N253 წერლი

<sup>16</sup> 2011 წლის 27 სექტემბერს

ბიუჯეტით გათვალისწინებულზე 4.0 ათასი ლარით მეტი თანხაზე. ასიგნების ზემოთ ხარჯვას ადგილი არ ჰქონია, რადგან 2012 წლის 6 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის N10 ბრძანებით საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილების გზით 4.0 ათასი ლარით გაზრდილია მსუბუქი ავტომობილის შეძენის ხარჯები.

ტენდერში გამარჯვებულ შპს „იბერია ავტო“-სთან 2012 წლის 14 თებერვალს გაფორმებულია ხელშეკრულება<sup>17</sup> და შეძენილია 2008 წელს გამოშვებული ავტომანქანა „MITSUBISHI PAJERO“, ღირებულებით 34.0 ათასი ლარი.

2012 წელს აღნიშნულ ავტომანქანზე რემონტის სახით გაწეულია 23.7 ათასი ლარის ხარჯი, გარდა სხვადასხვა აუცილებელი ხარჯისა (საბურავების, ზეთის და სხვა ნაწილების შეცვლა) გაწეულია ისეთი სამუშობი, რომელიც წარმოადგენს მანქანის აღდგენის სამუშაოებს (კარების, სხვადასხვა სავალი ნაწილების სრულად შეცვლა), აღნიშნული სარემონტრო სამუშაოები შესრულებულია ივნისის თვეში, თანხით 18.4 ათასი ლარი. აქვე უნდა აღნინიშნოს, რომ აღნიშნული ხარჯების თანხევამდე გამგეობის ბიუჯეტში შეტანილია ცვლილება და გაზრდილია ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები 17.6 ათასი ლარით<sup>18</sup>.

ბიუჯეტის ხარჯების გაზრდასთან დაკავშირებით ბიუჯეტში შეტანილი ცვლილება დასაბუთებული არ არის. ბიუჯეტში ცვლილება შეტანილია და ხარჯები გაზრდილია გამგებლის მომსახურე ავტომანქანის მძღოლის<sup>19</sup> მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც იგი მიუთითებს, რომ „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაზიანდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა“. სხვა რაიმე დოკუმენტი ავტომანქანის დაზიანების გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არ არის.

ავტომანქანა მიღება-ჩაბარების აქტით ჩაბარებული აქვს მძღოლს<sup>20</sup>. ავტომანქანის მძღოლის მიზეზით დაზიანების შემთხვევაში მატერიალური ზარალის ანაზღაურება ეკისრება მატერიალურად პასუხისმგებელ პირს.

<sup>17</sup> N30

<sup>18</sup> ცვლილებები შეტანილია: მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 18 ივნისის ბრძანება N84-ით ხარჯები გაზრდილია 3.0 ათასი ლარით; გამგებლის 3 ივლისის ბრძანება N84-ით ხარჯები გაზრდილია 11.6 ათასი ლარით და გამგებლის 27 ივლისის ბრძანება N84-ით ხარჯები გაზრდილია 3.0 ათასი ლარით;

<sup>19</sup> მძღოლი ზაზა ბერაძე

<sup>20</sup> მასთან წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობაზე გაფორმებული არ არის


## მუნიციპალიტეტის ავტომანქანებზე საწვავის ხარჯი

მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მომსახურე ავტომანქანებზე შედგენილი საგზურის ფორმა, მისი შევსების წესი და მასში ჩაწერილი მაჩვენებლები მიუთითებს, რომ საგზურის ფურცლები ვერ ჩაითვლება საწვავის ხარჯვის სარწმუნო მტკიცებულებად, რადგან არ არის გამოყვანილი გარბენილი კილომეტრაჟის საერთო რაოდენობა და შესაბამისი ჩამოსაწერი საწვავის ოდენობა.

აუდირებულ პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ ტრანსპორტის ხარჯების მუხლით საწვავის ხარჯი ძირითადად გაწეულია იმ ავტომანქანებზე, რომლებიც ემსახურება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, გამგებელს და მის მოადგილეს.

საწვავის ხარჯმა წლების მიხედვით შეადგინა:

(ათას ლარებში)



საკრებულოს მიერ საწვავის ხარჯვის ლიმიტები დაწესებული არ არის. საწვავის ჩამოწერა მოხდენილია საგზურის ფურცლებით, სადაც ჩაწერილია გახარჯული საწვავის ოდენობა, არ არის ჩაწერილი გარბენილი კოლომეტრაჟი, მხოლოდ მითითებულია მანქანის მოძრაობის მარშრუტი და აგრეთვე ჩაწერილია „ადგილზე მოძრაობა“. ამ პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი საწვავის საშუალო ფასით, მომსახურე ავტომანქანების საწვავის ხარჯვის ნორმების გამოყენებით გამოთვლილი იქნა ავტომაქანის მიერ ერთ დღეში<sup>21</sup> საშუალოდ გავლილი კილომეტრაჟი. მაჩვენებლები ასეთია: 2009 წელს საკრებულოს

<sup>21</sup> წლიურად აღებულია 300 დღე

თავმჯდომარის მიერ დღეში გავლილია დაახლოებით 190 კმ, გამგებლის მიერ - 191 კმ. 2010 წელს შესაბამისად, დაახლოებით 237 კმ და 290 კმ, 2011 წელს შესაბამისად, დაახლოებით 190 კმ და 186 კმ, 2012 წელს კი შესაბამისად, დაახლოებით 84 კმ და 124 კმ.

### ხიდ-ბოგირის რეკონსტრუქცია

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 32.7 ათასი ლარით აღდგენილია ხიდ-ბოგირი, რომელიც თავდაპირველად (პროექტით) განკუთვნილი იყო საავტომობილო ტრანსპორტის გადაადგილებისათვის. სამუშაოების შემსრულებლის მიერ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების თვითნებურად შეცვლის შემდგომ კი, მასზე გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ საჭაპანო (ურემი) ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულებისათვის. სამუშაოს შემსრულებელ სპს „მარკშეიდერი“-ს მიმართ რაიმე სახის სანქცია გავრცელებული არ არის.

საქართველოს მთავრობა<sup>22</sup> 2010 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოუყო 35.0 ათასი ლარი მდინარეებზე - ძირულასა და კვადოურაზე ხიდების რეაბილიტაციისათვის.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ი/მ „ავთანდილ მესხთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შეისყიდა სოფელ ბორითში მდინარე ძირულაზე დაზიანებული ხიდ-ბოგირის რეაბილიტაციისთვის საჭირო ხარჯთაღრიცხვის პროექტი.

პროექტის მიხედვით, ხიდ-ბოგირი გათვალისწინებული იყო 2 ტონა ტვირთამწეობის მსუბუქი ავტომობილის, საჭაპანო (ურემი) ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის.

2010 წლის ხიდ-ბოგირის რეაბილიტაციაზე გამგეობასა და სპს „მარკშეიდერს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება<sup>23</sup>, რომლის საერთო თანხამ შეადგინა 32.7 ათასი ლარი. 19 აგვისტოს დასრულდა აღნიშნული ხიდის რეაბილიტაცია და მიღება-ჩაბარება გაფორმდა შესაბამისი აქტით.

აუდიტორულმა ფირმამ განახორციელა ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა (აზომვითი სამუშაოები)<sup>24</sup>. გამოვლინდა სახარჯთაღრიცხვო მონაცემებსა და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობებს შორის სხვაობები მეტ-ნაკლებობით. ინსპექტირების ჯგუფს სამუშაოს

<sup>22</sup> N 418 განკარგულებით

<sup>23</sup> 8 ივლისის N268 ხელშეკრულება

<sup>24</sup> შპს „გარანტი 2006“-N 294 ხელშეკრულება, 2010 წლის 17 აგვისტოს აუდუტორული დასკვნა

მიღება-ჩაბარების აქტში შესრულებული სამუშაოების მოცულობებს შორის სხვაობები დაფიქსირებული აქვს, ხოლო პრეტენზია რაიმე სახით გამოთქმული არ არის.

არ მომხდარა პროექტისა და შესაბამისად შესასრულებული სამუშაოების შეცვლის შესახებ შეთანხმება პროექტის ავტორ ი/მ „ავთანდილ მესხთან“. შეთანხმება არ არის გაფორმებული არც გამგეობასა და სპს „მარკშეიდერს“ შორის.

ხიდ-ბოგირის რეაბილიტაციისთვის საჭირო ხარჯთაღრიცხვის პროექტის ავტორი ი/მ „ავთანდილ მესხი“ გაეცნო შესრულებული სამუშაოების კონტროლის განმახორციელებელი კომისიის დასკვნასა და ფარული სამუშაოების აქტებს, საიდანაც ირკვევა, რომ პროექტით გათვალისწინებული:

- ხიდ-ბოგირის საყრდენი სვეტის ჩაღრმავება შემცირებულია 0.5 მ-ით;
- ხიდ-ბოგირის მასალებისა და რიგელების სიგრძე შემცირებულია 2.2 მ-ით;
- სავალი ნაწილის ფურცლოვანი ლითონის მოწყობა - 1.4 კვ/მ-ით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის ავტორმა ავთანდილ მესხმა 2010 წლის 20 აგვისტოს მიმართა ხარაგაულის თვითმმართველ მუნიციპალიტეტს, სადაც ის რეკომენდიაციას აძლევს, რომ აღნიშნული ხიდის ექსპლოატაციაში მიღებისას გაითვალისწინონ შემდეგი, კერძოდ:

1. კატეგორიულად აიკრძალოს ყველა სახის საავტომობილო ტრანსპორტის გადაადგილება ხიდ-ბოგირზე.
2. ხიდ-ბოგირზე გადაადგილება განახორციელონ მხოლოდ საჭაპანო (ურემი) ტრანსპორტმა და ფეხით მოსიარულებმა.

## **სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა**

### **საბიუჯეტო პროცესი**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში წარდგენილია 2008 წლის 22 დეკემბერს, 37 დღის დაგვიანებით<sup>25</sup>, მომდევნო წლებში ბიუჯეტის პროექტები ვადაშია წარდგენილი. ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი საკრებულოში წარდგენილია დაგვიანებით<sup>26</sup>: 2010 წელს - 19 დღით, 2011 წელს - 6 დღით.

<sup>25</sup> საქართველოს კანონით „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ (მუხლი 13, პუნქტი 12) ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს უნდა წარდგინოს საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არა უგვიანეს 45 დღისა (მოქმედებდა 2010 წლის 1 იანვრამდე)

<sup>26</sup> სასაქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით ბიუჯეტის შესწორებული პროექტის წარდგენის ვადაა 10 დეკემბრამდე.

## დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად<sup>27</sup> სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი არ არის გაშიფრული დელეგირებული საქმიანობის მიხედვით. აღნიშნულის გამო მუნიციპალიტეტის მიერ მიზნობრივი ტრანსფერი გადანაწილებულია დელეგირებულ საქმიანობაზე თავისი შეხედულებით და ამ მიზნით გასაწევი ხარჯები შევსებულია საკუთარი შემოსავლებით.

დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად 2009-2012 წლებში სულ მიღებული და ათვისებულია 494,2 ათასი ლარის მიზნობრივი ტრანსფერი, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის მიერ დამატებით გახარჯულია საკუთარი შემოსულობები 52,9 ათასი ლარი<sup>28</sup>, აქედან: თავდაცვით ღონისძიებებზე (სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურზე) - 23,1 ათასი ლარი, სოციალურ დაცვაზე - 22,6 ათასი ლარი, საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე - 5,4 ათასი ლარი, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებაზე - 1,8 ათასი ლარი.

## ინერტული მასალის მოპოვება

მუნიციპალიტეტის მიერ 2009-2012 წლებში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში სოფლის გზების მოწესრიგებაზე დახარჯულია 835,3 ათასი ლარი<sup>29</sup>, რომელიც ძირითადად მოიცავს გზების მოხრეშვის სამუშაოებს. წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვებითა და სამუშაოების შესრულების აქტებით დადგინდა, რომ მოხრეშვისთვის საჭირო ინერტული მასალის ღირებულება მიმწოდებლებზე გადახდილი არ არის. როგორც ირკვევა, ინერტული მასალის გამოყენება ხდებოდა ადგილობრივი კარიერებიდან, რომლის გამოყენებაზე ოფიციალური ნებართვა წარმოდგენილი ვერ იქნა მაშინ, როდესაც „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულებით<sup>30</sup> სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება დაიშვება მხოლოდ ლიცენზიის საფუძველზე.

<sup>27</sup> „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტით სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება დაიშვება შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით

<sup>28</sup> 2009 წელს 43,4 ათასი ლარი, 2010 წელს 0,4 ათასი ლარი, 2012 წელს 9,1 ათასი ლარი.

<sup>29</sup> 2009 წელს 128,2 ათასი ლარი, 2010 წელს 179,9 ათასი ლარი, 2011 წელს 257,3 ათასი ლარი, 2012 წელს 269,9 ათასი.

<sup>30</sup> საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული (მუხლი 3)

2012 წლის მაისის თვეში მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიმართა იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულს თხოვნით, რათა ეშუამდგომლა შესაბამის უწყებასთან ინერტული მასალის მოპოვების ლიცენზიისაგან 3 თვის ვადით გათავისუფლებაზე. წერილში ჩამოთვლილია 40 ადგილობრივი კარიერი და მოსაპოვებელი ინერტული მასალის ოდენობა. აღნიშნულ წერილზე პასუხი მუნიციპალიტეტში მიღებული არ არის.

საკითხის სამართლებრივი დარეგულირებისათვის საჭიროა გამგეობამ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებები.

### სოფელ ფარცხნარის სამკურნალო აბანოს მშენებლობა

2009-2012 წლებში სოფელ ფარცხნარში სამკურნალო აბანოს მშენებლობაზე გახარჯულია 18.2 ათასი ლარი. მშენებლობა განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი ნებართვისა და სამკურნალო აბანოს ფუნქციონირებისათვის საჭირო მიწისქვეშა მინერალური წყლის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გარეშე.

2009 წლის 27 დკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხნარში ჩატარდა სოფლის მოსახლეობის საერთო კრება, რომელზეც გადაწყდა, სოფლის განვითარების პროგრამით გამოყოფილი თანხები მოხმარებოდა სოფელ ფარცხნარის მოსახლეობისათვის აბანოს აშენებას, ელ.წისქვილის აღდგენას, წყლის სისტემის რეაბილიტაციას, ცენტრალური და საუბნო გზების რეაბილიტაციას.

2012 წლის ბოლოსათვის აუდიტის დასკვნით<sup>31</sup> აბანო შედგებოდა 6 აბაზანისა და 2 საშხაპისაგან, შენობის შიდა საერთო ფართი შეადგენს 70 კვ. მეტრს. შენობის მიახლოებითი ღირებულება განისაზღვრა 38.0 ათასი ლარით. აბანოზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 18.2 ათასი ლარი, რომელიც მშენებლობისათვის საჭირო მასალების ღირებულებაა, ხოლო აბანოს მშენებლობა განხორციელდა ადგილობრივი მოსახლეობის ძალებით. აბანოს შენობა ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის (ჩასატარებელია ელქტროგაყვანილობისა და სხვა სამუშაობი).

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულებით<sup>32</sup>, სამკურნალო აბანოსათვის წყლის მოპოვება დაიშვება მხოლოდ ლიცენზიის საფუძველზე. გარდა ამისა, ხარაგულის საკრებულოს 2010 წლის 6 დეკემბრის N46 დადგენილებით, აბანოს მშენებლობა საჭიროებდა ნებართვას გამგეობის შესაბამისი სამსახურიდან.

<sup>31</sup> დასკვნა შედგენილია 2012 წლის 28 დეკემბრის

<sup>32</sup> საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული (მუხლი 3)

## დღგ-ით გამოცხადებული ტენდერი

2012 წლის მარტის თვეში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა ტენდერი საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოებზე, თანხით 86.6 ათას ლარზე დღგ-ს ჩათვლით. ვაჭრობის შედეგად საბოლოო ფასი დააფიქსირა შპს „PROMETE“-მ 61 000 ლარი (51 695 ლარი სამუშაო, დღგ 9 305 ლარი), ხოლო ი/მ „სტანგერ ხომასურიძე“-მ კი 60 999 ლარი. შპს „PROMETE“-ს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება მოიცავდა დღგ-ს, ხოლო ი/მ „სტანგერ ხომასურიძე“ სატენდერო წინადადება დღგ-ს გარეშეა. გაიმარჯვა ი/მ-„სტანგერ ხომასურიძე“-მ და გაუფორმდა ხელშეკრულება სამუშაოს შესრულებაზე, თანხით 60 999 ლარი. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად ხარაგაულის მუნიციპალიტეტს უფლება ჰქონდა ტენდერი გამოცხადებინა როგორც დღგ-ს გათვალისწინებით, ისე დღგ-ს გარეშე. „დღგ-ს გარეშე ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების დადებისას ღირებულებაში გაითვალისწინოს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის მიერ დამტკიცებული მომენტისათვის პრეტენდენტი არის ის ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად“. იმ შემთხვევაში თუ ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მოახდენდა ტენდერის გამოცხადებას დღგ-ს გარეშე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ფინანსური სახსრები უფრო რაციონალურად დაიხარჯებოდა და ბიუჯეტი დამატებით სარგებელს მიიღებდა.

2011-2012 წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ განხორცილებული შესყიდვებისას დაფიქსირდა 10 ანალოგიური შემთხვევა, რომლის დროსაც გამარჯვებულია დღგ არგადამხდელი პრეტენდენტი. მიმწოდებლებს საქონელსა და შესრულებულ სამუშაოებში აუნაზღაურდათ 238.8 ათასი ლარი<sup>33</sup>. სასურველია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა ყურადღება გაამახვილოს აღნიშნულ საკითხზე და 100 ათას ლარზე ნაკლები ღირებულების შესყიდვების განხორციელებისას ტენდერი გამოცხადოს დღგ გარეშე, რის შედეგად ბიუჯეტი არსებით ფინანსურ სახსრებს დაზოგავს.

### შესრულებული აზომვითი სამუშაოები და ხარჯთაღრიცხვების შედგენა

მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ შესასრულებელი აზომვითი სამუშაოები შესრულებულია სხვადასხვა აუდიტორული ფირმების მიერ,

<sup>33</sup>არ არის წარმოდგენილი დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურები

მცირე საპროექტო (სახარჯთაღრიხო) სამუშაოების შესრულება დაკვეთილია საპროექტო ორგანიზაციებზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2009-2012 წლებში საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლებიდან შექნილია ინსპექტირების ჯგუფები, რომელსაც ევალებოდა მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და მოცულობების შემოწმება (სამუშაოს მონიტორინგი). მიუხედავად ამისა, გამგეობის მიერ მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოების შემოწმებისთვის (აზომვების ჩასატარებლად) მოწვეულია სხვადასხვა აუდიტორული ფირმები, რომლთა სპეციალისტების მერ მოხდენილია შესრულებული სამუშაოების აზომვები, რაზეც შედგენილია შესაბამისი აუდიტორული დასკვნები.

გამგეობის მიერ ყველა შესასრულებელი სამუშაოს პროექტების (ხარჯთაღრიცხვების) შედგენა დაკვეთილია სხვადასხვა ფირმებსა და ინდ. მეწარმეებზე. ისეთებიც კი, რომლებიც არ მოითხოვენ დიდ საპროექტო გამოცდილებას, როგორიცაა: სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოები და ხვადასხვა მცირე საპროექტო სამუშაოები.

სულ აუდიტის მომსახურებასა და პროექტების შედგენაზე გამგეობის მიერ 2009-2012 წლებში გაწეულია 120 ათას ლარზე მეტი ხარჯი (აქედან 20.0 ათასი ლარი აუდიტორულ მომსახურებაზე).

### **ა(ა)იპ-ები დაფუძნება და დაფინანსება**

#### **მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ-ების დაფუძნება, დაფინანსება, შესრულებული სამუშაოები და მათზეკონტროლი**

2007-2008 წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის (საკრებულოსა და გამგეობის) მიერ შექმნილია 8 სხვადასხვა ა(ა)იპ-ი, 4 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება: „ხარაგაულ წყალი“, „ხარაგაულ დასუფთავება“, „ხარაგაულ კეთილმოწყობა“ და გაზეთი „ახალი ხარაგაული“. შპს „ხარაგაულ წყალი“ 2009 წლის

ნოემბერში შეუერთდა შპს „დასავლეთ წყალს“, ხოლო დანარჩენი შპს-ები ლიკვიდირებულია<sup>34</sup>.

2011 წელს შეიქმნა ა(ა)იპ-იები: „ხარაგაულ დასუფთავება“, „ხარაგაულ კეთილმოწყობა“, გაზეთი „ახალი ხარაგაული“.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კულტურის, ხელოვნების და სპორტის სფეროს ა(ა)იპ-ების<sup>35</sup> დაფინანსების (ხარჯების) 80-90% მოდის შრომის ანაზღაურების ფონდზე. ა(ა)იპ-ების დაფინანსებაში არ არის გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროგრამების დაგეგმა და შესრულება, ამდენად გაწეული ხარჯები ვერ უწყობს ხელს ამ სფეროების განვითარებას და ა(ა)იპ-ის დებულებით განსაზღრულ საქმიანობას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 19 ოქტომბრის N47 განკარგულებით საკრებულოს მიერ შექმნილი ა(ა)იპ-ი და შპს-ები მართვის უფლებით გადაეცა გამგეობას. 2011 წლის 3 იანვრის N3 განკარგულებით გაუქმებულია ზემოთ აღნიშნული განკარგულება და ა(ა)იპ-ისა და შპს-ების მართვის უფლება დაუბრუნდა საკრებულოს.

ა(ა)იპ-ი „ხარაგაულ დასუფთავება“ და „ხარაგაულ კეთილმოწყობის“ მიერ სუბსიდიის მოთხოვნა წარდგენილია საფინანსო სამსახურში და შემდგომ ასახულია ბიუჯეტის პროექტში ისე, რომ არ არის დასაბუთებული მიღებული სუბსიდიით თუ რა სამუშაოები უნდა შეესრულებინა, რა პერიოდულობით, რა მოცულობით. არც ხელშეკრულებით ან რაიმე ფორმითაა მიცემული დავალება კონკრეტული სამუშაოს შესრულებაზე. ა(ა)იპ-ები საქმიანობდა მისი წესდებით განსაზღვრული ზოგადი სამუშაოების მიხედვით, თავისი შეხედულებისამებრ.

ბიუჯეტში აღნიშნული ა(ა)იპ-ების დაფინანსება განისაზღვრა მათ მიერ წარდგენილი ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკითა და საშტატო განრიგით.

სუბსიდიები წარმოადგენს<sup>36</sup> საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ერთეულის (ჩვენ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის) მიერ მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს. ამდენად, სუბსიდიის გაანგარიშება უნდა მოხდეს მისი მოთხოვნის დროს.

იმის გამო, რომ სუბსიდია განსაზღვრული არ იყო კონკრეტული დავალების შესასრულებლად, არ არის განხორციელებული კონტროლი ა(ა)იპ-ების მიერ მიღებული სუბსიდიით შესრულებული სამუშაოების მოცულობებზე და შესაბამისად, გახარჯულ თანხებზე. 2011-2012 წლებში ა(ა)იპ „ხარაგაულ

<sup>34</sup> დოკუმენტაცია წარდგენილია საგადასახადო ინსპექციაში

<sup>35</sup> „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“; „შ.ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“, „თამაზ გიორგაძის სახელობის სასპორტო სკოლა“, „ისტორიული მუზეუმი“, „ცენტრალური ბიბლიოთეკა“, „ხალხური შემოქმედების სახლი“ და „კულტურის ცენტრი“

<sup>36</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკითა ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკით განმარტებების მიხედვით

დასუფთავების“ მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა 229.1 ათასი ლარი<sup>37</sup>, ხოლო ა(ა)იპ „ხარაგაულ კეთილმოწყობის“ კი - 268.2 ათასი ლარი<sup>38</sup>.

საგადასახადო კოდექსით ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, ა(ა)იპ კი არ წარმოადგენს ადგილობრივი თვითვითმმართველობის ორგანოს. ამდენად, ა(ა)იპ „ხარაგაულ კეთილმოწყობის“ შემოსავლები (ბრუნვა) წელიწადში აღემატება 100.0 ათას ლარს და ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას<sup>39</sup>.

ა(ა)იპ „ხარაგაულ დასუფთავების“ წესდებით მას ევალება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ცენტრალური საავტომობილო გზის დასუფთავება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა“ მაშინ, როდესაც აღნიშნული გზა ეკუთვნის და მის მოვლას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რაზეც ცხადდება შესაბამისი ტენდერი და მისი დასუფთავება ევალება გამარჯვებულ ფირმას. ტექნიკური დავალების ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს საავტომობილო გზების შემოვლა, რომელიც მოიცავს გზის სავალი ნაწილის და განთვისების ზოლის<sup>40</sup> გასუფთავებას ნაგვისა და სხვადასხვა საგნებისაგან. გამარჯვებული ფირმების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებს აღნიშნული სამუშაოს შესრულებას.

წარმოდგენილი ინფორმაციით ა(ა)იპ „ხარაგაულ დასუფთავების“ მიერ 2011-2012 წლებში ცენტრალური საავტომობილო გზის დასუფთავების მიზნით გაწეული ხარჯი შეადგენს 39.8 ათას ლარს<sup>41</sup>. ამდენად, მუნიციპალიტეტის მიერ ისეთი ტერიტორიის დასუფთავებაზეა ხარჯი გაწეული, რომლის მოვლა-პატრონობა ევალება სახელმწიფოს.

ხარაგულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ<sup>42</sup> შექმნილია საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა 2009“<sup>43</sup>. ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა 2009“ 2009-2012 წლებში დაფინანსებულია (სუბსიდიის მუხლით) 248.2 ათასი ლარის ოდენობით<sup>44</sup>.

საფეხბურთო კლუბის მიერ არ არის შედგენილი ბიზნეს გეგმები, 2009-2011 წლებში დაფინანსება ისეა მოთხოვნილი, რომ ა(ა)იპ-ის მიერ არ არის შედგენილი და

<sup>37</sup> 2011 წელს გაწეულია 96.4 ათასი ლარის ხარჯი, 2012 წელს კი 132.7 ათასი ლარი.

<sup>38</sup> 2011 წელს გაწეულია 131.9 ათასი ლარის ხარჯი, 2012 წელს კი 136.3 ათასი ლარი.

<sup>39</sup> ა(ა)პი-„ხარაგაულ კეთილმოწყობა“ საგადასახადო ინსპექციაში დღგ გადამზდელად დარეგისტრირებული არ არის.

<sup>40</sup> რომელიც შეადგენს საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიას.

<sup>41</sup> 2011 წელს გაწეულია 10.9 ათასი ლარის ხარჯი, 2012 წელს კი 28.9 ათასი ლარი.

<sup>42</sup> 2009 წლის 10 აგვისტოს N 161 ბრძანება

<sup>43</sup> „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მიხედვით ასეთი სახის იურდიცილი პირების შექმნა (დაფუძნება) გამგეობის უფლებამოსილებას არ განეკუთნება.

<sup>44</sup> 2009 წელს 12.8 ათასი ლარით, 2010 წელს- 62.4 ათასი ლარით, 2011 წელს-87.9 ათასი ლარით, 2012 წელს- 85.1 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგი. ამ პერიოდში ა(ა)იპ-ის თანამშრომლებზე ხელფასი დარიცხვისა და გაცემის საფუძველი არ დგინდება.

2012 წელს საკრებულოს მიერ დამტკიცებულია კლუბის საშტატო განრიგი 22 შტატით (მათ შორის 15 ფეხბურთელი, 3 მწვრთნელი და 4 ტექნიკური პერსონალი). ყოველ შტატზე მითითებულია გვარი და სახელი, რაც არასწორია, რადგან საშტატო განრიგი მტკიცდება შტატების მიხედვით და არა პიროვნებების მიხედვით. ხელფასი გაწერილია 10 თვეზე - 51,9 ათასი ლარი, წლიური საპრემიო თანხა განსაზღვრულია 8.0 ათასი ლარი. სულ სახელფასო ფონდი საშტატო განრიგით შეადგენს 59.9 ათას ლარს.

საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2012 წლის ა(ა)იპ-ის ხარჯების გეგმით შრომის ანაზღაურების ფონდი განისაზღვრა 62,1 ათასი ლარით (დამტკიცებული საშტატო განრიგით განსაზღვრულზე 2,2 ათასი ლარით მეტი).

2012 წელს გაცემული ხელფასები არ ემთხვევა საშტატო განრიგით განსაზღვრულ ოდენობას. მწვრთნელებზე და ტექნიკურ პერსონალზე გაცემულია საშტატო განრიგით დამტკიცებულ ხელფასებზე მეტი (6 პირზე გაცემულია 7.1 ათასი ლარით მეტი), ხოლო ფეხბურთელებზე ნაკლები ოდენობითაა გაცემული (14 ფეხბურთელზე გაცემულია 9.0 ათასი ლარით ნაკლები). დამტკიცებული საშტატო სიით განსაზღვრული ფეხბურთელების გარდა ხელფასი და პრემია გაცემულია 11 ფეხბურთელზე და ერთ მწვრთნელზე (3.7 ათასი ლარი).

ბუღალტერიის მიერ არ ხდება თანამშრომლების მიერ ნამუშევარი დროის აღრიცხვა და აღნიშნულის საფუძველზე ხელფასების დარიცხვა. დარიცხვა და გაცემა მოხდენილია ხელმძღვანელობის ზეპირი შეტყობინებით, დოკუმენტური დასაბუთების გარეშე. ყველა დარიცხული ხელფასი გაცემულია. წარმოდგენილი ცნობით, საფეხბურთო კლუბს სახელფასო დავალიანება (მათ შორის წინა წლების) არ ერიცხება.

2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა 2009“-ს ივნისისა და ივლისის თვეებში სუბსიდიით დაფინანსება გათვალისწინებული არ იყო, კლუბის მოთხოვნით დეკემბრის თვის სუბსიდიის თანხიდან 3.0 ათასი ლარი გადატანილია ივნისის დაფინანსებაში, ხოლო ივლისის თვეში: ნოემბრიდან 6.4 ათასი ლარი, სექტემბრიდან 10.0 ათასი ლარი (საწევრო შენატანისთვის). ოქტომბერ-დეკემბრის თვეებში ხელფასები დარიცხული და გაცემული არ არის. ამ პერიოდში იყვნენ თუ არა დასაქმებული კლუბის თანამშრომლები, ვერ დგინდება.

## ა(ა)იპ გაზეთი „ახალი ხარაგაული“-ს დაფუძნება და საქმიანობა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია გაზეთი (ა(ა)იპ-ს სახით), რომლის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები ვერ უზღუნველყოფენ გაწეული ხარჯების დაფარვას. არასრულყოფილია გაზეთის გავრცელების (რეალიზაციის) მექანიზმი, აღნიშნულის გამო გაზეთი ვერ იღებს შემოსავლებს.

ა(ა)იპ გაზეთი „ახალი ხარაგაული“ დაფუძნებულია 2011წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ<sup>45</sup>. წესდების მიხედვით, გაზეთის დაფუძნების მიზანია:

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირება საკრებულოსა და გამგეობის მიერ გაწეულ და მიმდინარე საქმიანობაზე;
- მუნიციპალიტეტში მომხდარი აქტუალური მოვლენების გაშუქება;
- მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების გაშუქება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და ნორმატიული აქტების განთავსება;
- თვითმმართველობის იდეის პოპულარიზაცია.

გაზეთი არის პერიოდული გამოცემა, რომელიც გამოდის კვირაში ერთხელ. სარეალიზაციო ფასი - 0,40 ლარი.

გაზეთი „ახალი ხარაგაული“-ს შემოსავლების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტიდან მიღებული სუბსიდია და გაზეთის რეალიზაციიდან ამონაგები. 2011 წელს შემოსავალმა სულ შეადგენა 42,6 ათასი ლარი. მათ შორის: ამონაგები. 2011 წელს შემოსავალმა სულ შეადგენა 42,6 ათასი ლარი, ხოლო რეალიზაციიდან სუბსიდიის სახით მიღებული აქვს 30,0 ათასი ლარი, ხოლო რეალიზაციიდან შემოსავალი 12,6 ათასი ლარი. ამავე პერიოდში ფაქტიური ხარჯი შეადგენს 44,1 ათას შემოსავალი 12,6 ათასი ლარი. საკასო ხარჯი კი გაწეული იქნა 42,6 ათასი ლარი. წლის ბოლოსთვის დარჩა ლარს, საკასო ხარჯი კი გაწეული იქნა 42,6 ათასი ლარი. წლის ბოლოსთვის დარჩა კრედიტორული დავალიანება გამომცემლობა შპს „მაქსიმუმი“-ს მიმართ 1,3 ათასი ლარი.

2012 წელს შემოსავალმა შეადგენა 40,6 ათასი ლარი. მათ შორის: სუბსიდიის სახით მიღებულია 36,0 ათასი ლარი, ხოლო რეალიზაციიდან შემოსავალი 4,6 ათასი ლარი. ამავე პერიოდში ფაქტიური ხარჯი შეადგენს 47,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი კი გაწეულია 39,8 ათასი ლარი. წლის ბოლოსთვის დარჩა კრედიტორული დავალიანება: გამომცემლობა შპს „კოლორი“-ს მიმართ 1,3 ათასი ლარი, სახელფასო დავალიანება - 5,7 ათასი ლარი.

<sup>45</sup> 2011 წლის 3 იანვრის N6 განკარგულება

გაზეთის რეალიზაციას ახდენენ გაზეთის გამავრცელებელი და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები, რომლებთანაც არანაირი ხელშეკრულებები არ არის დადებული გაზეთის გავრცელებასთან დაკავშირებით<sup>46</sup>.

მოშლილია გაზეთის რეალიზაციის მექანიზმი, ვინაიდან არ არსებობს რეალიზებული, უკან დაბრუნებული გაზეთის ნომრების რაოდენობის შესახებ დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია. აღნიშნულის გამო ვერ დგინდება რეალურად რეალიზებიდან მიღებული შემოსავლები.

2011 წელს დაბეჭდილი 65 800 ეგზემპლარიდან რეალიზებულია 31 628 ეგზემპლარი (48%)<sup>47</sup>. მიუხედავათ ამისა, არ მომხდარა გაზეთის ტირაჟის შემცირება და 2012 წელს დაბეჭდილი 64 500 ეგზემპლარიდან რეალიზებულია 11 500 ეგზემპლარი (18%)<sup>48</sup> მაშინ, როდესაც ხარჯებში გაზეთის ბეჭდის ფაქტიური ხარჯი 2011 წელს შეადგენდა 18,3 ათას ლარს, 2012 წელს კი - 17,4 ათას ლარს.

საკრებულოს მიერ დამტკიცებული გაზეთის წესდებიდან ირკვევა, რომ გაზეთის დაფუძნების საჭიროება გამოწვეულია: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის, აგრეთევე მიმდინარე და სხვა სიახლეების გაცნობის მიზნით ბეჭდურ მედიაში ინფორმაციის განთავსებით. ჩვენი აზრით მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნული მომსახურების შესყიდვა, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებდა აღტერნატიული მედია საშუალებები, რაც შექმნიდა კონკურენციულ გარემოს და მუნიციპალიტეტს მისცემდა საუკეთესო პირობების არჩევის საშუალებას.

### შპს „ხარაგაული 2011“-ს დაფუძნება და საქმიანობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ<sup>49</sup> 2011 წლის 7 თებერვალს დაფუძნებულია შპს „ხარაგაული 2011“. წესდების მიხედვით, მის ძირითად საქმიანობად განისაზღვრა ავტოტრანსპორტით და ტრაქტორებით მომსახურება ფიზიკურ და იურდიულ პირებზე. საზოგადოების კაპიტალი განისაზღვრა 4,5 ათასი ლარით. 2011 წლის 14 მარტს შპს-ს მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცა 118.3 ათასი ლარის ღირებულების 16 დასახელების სხვადასხვა ტექნიკა, 2012 წლის აგვისტოს თვეში კი<sup>50</sup> - გზის გრეიდერი, ღირებულებით 150.0 ათასი ლარი.

<sup>46</sup> აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს გაზეთის რედაქტორი, წერილობითი განმარტებით

<sup>47</sup> 2011წ მიღებული შემოსავალი 12,7ათასი ლარი შეადგენს 31628ეგზემპლიარის ღირებულებას (ერთი ეგზემპ. ღირებულება 0,40ლარი)

<sup>48</sup> 2012წ მიღებული შემოსავალი 4,6 ათასი ლარი შეადგენს 11500 ეგზემპლიარის ღირებულებას (ერთი ეგზემპ. ღირებულება 0,40ლარი)

<sup>49</sup> საკრებულოს განკარგულება N11

<sup>50</sup> საკრებულოს განკარგულება N4

2011-2012 წლებში შპს „ხარაგაული 2011“-ს მომსახურება გაწეული აქვს ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ფიზიკური და იურდიული პირებისათვის. წარმოდგენილი ინფორმაციით 2011 წლის შემოსავლებმა შეადგინა 56,5 ათასი ლარი, მიღებულია მოგება 1,0 ათასი ლარი. 2012 წელს შემოსავალი 18,2 ათასი ლარია. მიღებულია ზარალი 0,6 ათასი ლარი. შემოსავლის აღრიცხვა მოხდენილია საკასო მეთოდით, შემოსავალში არ არის აღრიცხული ამ პერიოდში გაწეული 8,5 ათასი ლარის მომსახურება, რომელიც ირიცხება დებიტორულ დავალიანებაში. შპს-ში კრედიტორული დავალიანება არ წარმოქმნილა, ზარალი გამოწვეულია ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვით.

#### **კერძო აუდიტორული ფირმების მიერ ჩატარებული აუდიტი**

მუნიციპალიტეტში აუდიტორული ფირმების მიერ ჩატარებულია 2009-2011 წლების „წლიური ბიუჯეტის შესრულების ანალიზი და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება“<sup>51</sup>. აუდიტორული ფირმების მიერ აუდიტორული დასკვნა არ არის მომზადებული და გაცემული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. გამოვლენილია ზოგადი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანებები, რაზეც მიცემულია ზოგადი რეკომენდაციები.

<sup>51</sup> აუდიტი შემოწმება ჩატარებულია: 2009 წლის აუდიტი შპს „გარანტი 2006“ მიერ, გადახდილია 5.0 ათასი ლარი; 2010 წლის-შპს „ამერ აუდიტი 2008“ მიერ, გადახდილია 4.6 ათასი ლარი; 2011 წლის -შპს „ამერ აუდიტი 2008“ მიერ, გადახდილია 3.5 ათასი ლარი; 2012 წლის აუდიტორული შემოწმება არ ჩატარებულა.

## აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორი:

გიორგი ჩახვაძე

ხელმოწერა

თარიღი 17.06.2013

აუდიტორი:

ლია გუჯაბიძე

ხელმოწერა

თარიღი 17.06.2013

აუდიტორ-ასისტენტი:

ლალი ამზროლაძე

ხელმოწერა

თარიღი 17.06.2013

სპეციალისტი:

ზურაბ ტუსკაძე

ხელმოწერა

თარიღი 17.06.2013